პროლეტარეო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 148 (11759)

სამშაბათი, 28 ივნისი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ასიათასიანი მიტინგი ბუქარესტში

ბუქარესტი, 25 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი იუწყება:

17 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით (18 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით) ბუქარესტში 23 აგვისტოს სახელობის საზეიმოდ მოოთულ სტადიონზე გაიხსნა რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი.

სტადიონზე შეიკრიბა ასი ათასზე მეტი კაცი — ყრილობის დელეგატები, დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი, უმაღლეს სასწავლებლთა მოსწავლეები, რუმინეთის სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები და სხვ.

მიტინგზე მოვიდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოვუ სტოიკა, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და რუმინეთის მუშათა პარტიისა და სახალხო მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. მოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მიტინგი გახსნა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გ. აპოსტოლმა. მან სიტყვა მისალმებისა [illegible] რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

(დასასრული)

ლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამგებლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 34. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სიხსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სიხსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამგებლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სიხსლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებს და პროტესტებს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებზე და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 35. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრთა შემადგენლობით, ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით. სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური ოლქის პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 36. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე საოლქო სასამართლოს განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სხვა სასამართლოში გადაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად. საქმეს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სახალხო სასამართლოს რეგიზიის შედეგებს.

მუხლი 37. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომაზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს ოლქის სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე — საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

გ) ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე ოლქის სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე.

3. ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რეგიზიას და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 38. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შესულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 39. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო — ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო არის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 40. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 121 მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს არჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ხუთი წლის ვადით.

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავენ შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მუხლი 42. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება;

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე;

ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე — საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, ადგილობრივ პროკურორებთან შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

3. ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რეგიზიას და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შესულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სიხსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სიხსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სიხსლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე.

ბ) ანაწილებს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრს;

გ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე;

დ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

ე) ანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებს სასამართლო კოლეგიების მიხედვით;

ვ) ახორციელებს სასამართლო კოლეგიების მუშაობისადმი საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას;

ზ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

თ) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რეგიზიებს.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) ანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებს სასამართლო კოლეგიების მიხედვით;

ე) ახორციელებს სასამართლო კოლეგიების მუშაობისადმი საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას;

ვ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რეგიზიებს.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები ანგარიშს აბარებენ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შესაბამისად.

თავი V.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

მუხლი 49. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანო

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო არის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანო. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ეკისრება ზედამხედველობა გიუნეოს რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 50. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 120 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

გ) სასამართლოს პრეზიდიუმისა და

დ) სასამართლოს პლენუმის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე;

ა) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე — საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებს, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს დადგენილებებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე პროტესტების განხილვის გზით;

3. ატარებს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს რეგიზიას და ახორციელებს მთელი მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მუხლი 53. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს:

ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არიან შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

გ) სასამართლოს პრეზიდიუმისა და

დ) სასამართლოს პლენუმის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

მუხლი 54. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს:

ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არიან შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) პროტესტებს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს დადგენილებებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე ან სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე პროტესტების განხილვის გზით;

3. ატარებს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს რეგიზიას და ახორციელებს მთელი მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მუხლი 55. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი შედგება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სასამართლოს წევრებისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

პრეზიდიუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის ან მისი მოადგილის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 56. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების დადგენილებებზე, აგრეთვე პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ბ) განიხილავს ქვემდგომი სასამართლოების რეგიზიის შედეგებს.

მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და ყველა წევრისაგან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან, რომელნიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.

პლენუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

პლენუმის სხდომები მოიწვევა არანაკლებ ერთისა სამ თვეში. პლენუმის დადგენილება მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

ა) აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო ხასიათის განმარტებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს რესპუბლიკური კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე. სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის წარდგენათა საფუძველზე;

ბ) შედის წარდგენებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტი საკითხებისა და საქართველოს სსრ კანონების განმარტების შესახებ;

გ) განიხილავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ პროკურორის, და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

დ) ისმენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების ანგარიშს კოლეგიების მუშაობის შესახებ;

ე) ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან სასამართლოთა ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს [illegible] სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს [illegible] ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებისა და [illegible] ოლქის სასამართლოს [illegible] ოლქის სასამართლოს [illegible] ოლქის სასამართლოს

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155-ე მუხლის შესაბამისად

ადგენს:

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნას ყოველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის — მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, ასევე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის — საწარმოებსა, სამეწროებსა და დაწესებულებებში, გლეხებისათვის — სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

დეპუტატის გაწვევის საკითხი აძამრჩეველთა კრებებზე შეიძლება აღიძრას იმ პირობით, თუ მასში მონაწილეობს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კრებები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივაციას. დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და, თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, საამქროებში, დაწესებულებებში, სოფლებში, კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138-ე მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან. საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოს დეპუტატის გაწვევისას — კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2-6 წევრის შემადგენლობით, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევისას თავმჯდომარის, მდივნის და ერთი წევრის შემადგენლობით.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრების დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და აარკვევს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 10. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს, მისი განსაზღვრის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი დღისა, აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „შინაგან საქმეთა" და 56-ე მუხლში სიტყვების: „სოციალური უზრუნველყოფისა" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „შინაგან საქმეთა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

აქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 აპრილის ბრძანებულება ამხ. გიორგი ნიკოლოზისაძე ჯიბლაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 აპრილის ბრძანებულება ამხ. თამარ ვასილის ასულ ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. გ. დ. ჟორჟოლიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 ივნისის ბრძანებულება ამხ. გრიგოლ დავითის-ძე ჟორჟოლიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. დ. ა. ივაშჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. დიმიტრი ანდრიასი-ძე ივაშჩენკო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან სამუშაოდ რუსეთის სფსრ-ის გარეთ გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ი. გ. პავლოვსაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ივანე გრიგოლის-ძე პავლოვსკი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის პროექტის შესახებ მოხსენებების გამო

დეპუტატ ბ. ს. აბესაძის

სიტყვა

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ, — ამბობს დეპუტატი აბესაძე, — აღნიშნა, რომ თანდათანობით, ჩვენი საზოგადოების განვითარებისდა კვალად, როცა კიდევ უფრო გაიზრდება საბჭოთა ადამიანების შეგნებულობა, ხოლო კომუნისტური მორალის მოთხოვნები დამკვიდრდება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ბევრი ფუნქცია, რომლებსაც ამჟამად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ასრულებენ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცემათ.

ბოათურის რაიონში შექმნილია სოციალისტური მართლწესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები. ამ რაზმების წევრთა რიცხვი 1.400 კაცს აღემატება. ესენი ირიან კომუნისტები და უპარტიოები, კომკავშირელები, მრეწველობისა და სოფლეურნეო წარმოების მოწინავე ადამიანები. სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება იმ პრაქტიკამ, რომ სახალხო სასამართლოები ბრალდებულებს გადასცემენ მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში მათ აღსაზრდელად. სიხლის სამართლის დანაშაულთა რიცხვი შარშან ერთიორად შემცირდა წინა წელთან შედარებით.

სამართლო დემოკრატიზმის ახალ აყვავებას მოწმობს ახალი კანონპროექტი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ უფრო აქტიურად ჩაებაბა საზოგადოებრიობა სანიმუშო მართლწესრიგისათვის ბრძოლაში. ახალი კანონპროექტის მიხედვით ახლა სახალხო მაჯლეთა არჩევნები მოხდება მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით, ირჩევენ ორი წლის ვადით ნაცვლად წინანდელი სამი წლისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მშრომელთა სულ უფრო მეტი წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას ჩვენი სასამართლო ორგანოების მუშაობაში. რაც შეეხება სახალხო მოსამართლეს, მას კვლავ აირჩევენ ფარული კენჭისყრით, მაგრამ არა სამი წლის, ორამდე ხუთი წლის ვადით. ეს მოწმობს სახალხო მოსამართლის ავტორიტეტისა და მისადმი ნდობის ზრდას. ეგვი არ არის, რომ ახალ კანონპროექტს ქმაყოფილებით შეხვდებიან მართლმსაჯულების მუშაკები და რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

დეპუტატ მ. ნ. გოგორიშვილის

სიტყვა

ახალი პროექტი კანონისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა ლენინური ერთნული პოლიტიკის სიბრძნისა, რომელიც მიზნად ისახავს მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების შემდგომ გაფართოებას.

სახალხო სასამართლოები თავიანთი მოღვაწეობით, როგორც ეს აღნიშნულია კანონის პროექტში, ზრდიან მშრომელებს სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უანგარო სამსახურის, საბჭოთა კანონების ზუსტი და კანონიერი შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი და პატიოსანი დამოკიდებულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა სასამართლოები არა მარტო სჯიან დამნაშავეებს, არამედ თვალსაჩინებენ მათს გამოსწორებასა და აღზრდას. სახელმწიფო აპარატის ორგანოთა მთელი რიგი ფუნქციები გადადის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელში, რომელთა შორის ყველაზე მასობრივია მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ პარტიის მითითებათა განსახორციელებლად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა. ადგილებზე თითქმის ყველგან საზოგადოებრივ წესრიგს თვალყურს ადევნებენ სახალხო რაზმეულები, რომელთა რიგები დღითიდღე ივსება.

ეჭვი არ არის, ახალი კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ ხელს შეიწყობს სოციალისტური მართლწესრიგის განხორციელების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

დეპუტატ მ. გ. ვეფხვაძის

სიტყვა

პროექტი კანონისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიამ შემოიტანა, შეეხებამება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი რესპუბლიკის განვითარების თანამედროვე დონეს. იგი სავსებით განსაზღვრავს სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანებს და ეფალიბებს საქართველოს სასამართლო ორგანოების წყობილებისა და მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს.

პროექტი ასახავს ლენინური ერთვნული პოლიტიკის მონაპოვრებს და შეესაბამება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლის პრინციპებს, რომლებიც განხილა და მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1958 წელს.

გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძვლები და სახალხოდრიობის კონტროლი სასამართლო საქმიანობისადმი.

პროექტი კანონისა სასამართლო წყობილების შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულია. იგი მოასწავებს საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების ახალ, კიდევ უფრო მაღალ ეტაპს.

ეჭვი არ არის, ამ კანონის მიღება ხელს შეიწყობს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-3 გვერდი. სამშაბათი,
28 ივნისი, 1960 წ.

ლობაა, ყოველთვის არ იღებს მხედველობაში თვით მსმენელთა სურვილებს.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია პრიმიტივიზმი, გაუბრალოება. პარტიული განათლების სისტემის წრეებსა და სემინარებში ბევრ დიდ-ნაშვნელოვან პრობლემას, განსაკუთრებით კონკრეტული ეკონომიკისა და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს ხშირად სწავლობენ ზერელედ, მსმენელთა მთელ ყურადღებას აქცევენ ფაქტებისა და მოვლენების უბრალო ჩამოთვლას, ღრმად არ განაზრახებენ მათს მნიშვნელობას, არ აკეთებენ თეორიულ განზოგადებას და არ ამოძიყავთ დასკვნები. ყოველთვის როდესაც ენერგიულად ხალტურული, იდეურად მანკიერი ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვის ფაქტებს. ზერელედ, ფაქტალ იდეურ დონეზე აყალიბებენ თეორიულ დებულებებს ბევრ ნაბეჭდ პროპაგანდისტულ გამოსვლაში. მიუხედავად ამისა, რომ პრიმიტივიზმი ახლა ყველაზე ავრცელებული უარყოფითი მოვლენაა პროპაგანდაში, ცალკეული პარტიული ორგანიზაციები და კომიტეტები არ ეწინააღმდეგ საჭირო ბრძოლას, უსტად სწვდებიან პროპაგანდის შინაარსს, არ ამალლებენ მის იდეურ დონეს.

პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ელა ძლევენ პარტიული პროპაგანდის ეთ დიდ ნაკლს, როგორიც არის მისი ავლენის სფეროს ივიწროვე. სუსტი მაბრობობა და მისაწვდომობა, ცუდად იყენებენ არსებულ ხელსაყრელ პირობებს, ათა მოიგონონ იდეურ-პოლიტიკური ავლენა ყოველ საბჭოთა ადამიანზე.

პროპაგანდის ძირითადი, ყველაზე ძლავრი საშუალებანი: პოლიტიკური გაათლების სისტემაში, ლექციები, პრესა ბრირად წინანდებურად გათვალისწინებულია უპირატესად აქტივისათვის. ცალკეული პარტიული ორგანიზაციები შეიერიგენენ იმას, რომ მოსახლეობის ზოგიერთი ენა, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ იდეური აღზრდა, არ განიცდიან ოველდღიურ იდეურ-პოლიტიკურ გავლენას, არ კითხულობენ გაზეთებს, არ ისმენენ რადიოს, არ ესწრებიან ლექციებს, ოხსენებებს, საუბრებს.

ხშირად პარტიული კომიტეტები პარტიული პროპაგანდის გავლენის სფეროს ფართოების ამოცანის განხორციელებას ოსწურავენ წრეების რიცხვის უბრალო ადიდებით, ივიწყებენ, რომ პროპაგანდის არჩევის გაფართოება მოითხოვს დიდ, ეჭირ და ყოველდღიურ მუშაობას, შრომელთა იდეური აღზრდის ფორმებისა და საშუალებათა მთელი სხვადასხვაობის ამოქმედებას.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში პროპაგანდისტული მუშაობა თავმოყრილია უმთავრესად რაიონულ ცენტრებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებში. კუტანაის, აკმოლინსკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში, კოლმეურნეობათა ბრიგადებში, საველე ბანაკებში იმყოფებიან, თვითონ არიან მოკლებულნი შესაძლებლობას მოისმინონ ლექცია, მოხსენება, ნახონ კინოფილმი. მეტად ნელა წყდება მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ამოცანა. საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სახლთსამმართველოებებთან ბორკილებება ცუდად, საგაგიტაციო პუნქტების უმეტესობა მხოლოდ საარჩევნო კამპანიების პერიოდში მოქმედებს.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში რომ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური გავლენა მოახდინონ ყოველ საბჭოთა ადამიანზე, პარტიული ორგანიზაციები სუსტად იყენებენ პროპაგანდის მასობრივ ფორმებს. ყირგიზეთში კულტურის ბევრმა უნივერსიტეტმა შეწყვიტა მუშაობა პირველი საორგანიზაციო მეცადინეობის შემდეგ. ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ლექციებს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს, მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

გ ა დ ა უ დ ე გ ე ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

პროპაგანდის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა შეადგენს ახლა პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. სწორედ ახლა, ზაფხულის პერიოდში, საფუძვლები უნდა ჩაეყაროს კიდევ უფრო წარმატებით იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

რა საკითხები მოითხოვენ პირველი რიგის ყურადღებას?

საჭიროა, პირველ რიგში, ღრმად გაეაზვიათო ანალიზი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის უკვე შესრულებულ მუშაობას, განვაზოგადოთ დაგროვებული დებითი გამოცდილება, კრიტიკულად, გაბრწყინ მოთხოვნათა გათვალისწინებით შეეფასოთ მიღებული შედეგები. ბეჯითი, ყოველდღიური მუშაობა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის თვითეული უბნის შემდგომი სრულყოფისათვის — ეი რა არის ახლა საჭირო და დადმნიშვნელოვანი. სასარგებლოა განვიხილოთ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მსვლელობა პარტიული აქტივის პლენუმებსა და კრებებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის ხანმოკლე კამპანია როდია, იგი მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ხანგრძლივ და მუდმივ ღონისძიებებს. ამიტომ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია კვლავ და კვლავ გავუკეთოთ ანალიზი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას, ფართოდ გავავრცელოთ მისი საუკეთესო გამოცდილება. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დიდი როლის შესასრულებლად მოწოდებული არიან პრესა, რადიო, ტელევიზია. ყოველგვარი მოწოდების ღირსია გაზეთების „ზარია ვოსტოკას", „ტიესის", „სოციალისტიჩესკაია ხარკოვშჩინის", „მოსკოვსკაია პრავდის" მუშაობის პრაქტიკა, რომლებიც თავიანთ ფურცლებზე რეგულარულად მოგვითხრობენ პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებებზე. აქვეყნებენ შინაარსიან პროპაგანდისტულ სტატიებს.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებში ჩადგება მზადება ახალი 1960-1961 სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. საჭიროა, რომ მთელი ეს მუშაობა წარმოებდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გახორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. დადგენილებისა, რომელშიც მოცემულია მარქსისტულ-ლენინური განათლების შემდგომი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კერძოდ, პოლიტგანათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მსვლელობაში მთავარი ყურადღება მიექცეს ეკონომიური განათლების შემდგომ გაფართოებას ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან პოლიტიკური სწავლების კავშირის განმტკიცებას. ამ მხრივ ეფექტურად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სკოლების, წრეებისა და სემინარების პროგრ

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების დეპუტატთა გაწვევის წესის კანონის პროექტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ჯ. კ. ცაგარეიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას თქვენს განსახილველად შემოაქვს პროექტი კანონისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.

დეპუტატის გამოწვევის უფლება ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველების წინაშე. იგი ნათლად ასახავს საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ ბუნებას და წარმოადგენს ამომრჩეველთა სუვერენიტეტის თვალსაჩინო გამოვლინებას.

დეპუტატის გამოწვევის უფლების საკანონმდებლო წესით აღიარება და მისი პრაქტიკულად გამოყენება უფრო მეტად ზრდის დეპუტატების მიმართ ამომრჩეველების კონტროლის განხორციელებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვიჩვენებდა, რომ რომელი არჩევითი დაწესებულებაც უნდა იყოს, იმ პირობით შეიძლება ჩაითვალოს იგი ნამდვილად დემოკრატიულ და ნამდვილად ხალხის ნების გამომხატველ დაწესებულებად, თუ აღიარებული და გამოყენებულია ამომრჩეველების მიერ თავიანთი არჩეულთა გამოწვევის უფლება.

1917 წლის 21 ნოემბერს ვ. ი. ლენინი მოხსენებაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ „საჭიროა პირდაპირი, თანმიმდევრული და დემოკრატიული საწყისის განხორციელება — დაუყოვნებლივ გაწვევის უფლების შემოღებაა“. გაწვევის უფლების შემოღებას ვ. ი. ლენინი აღიქვამდა „დიდეს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობად. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „გადარჩევის საკითხი დემოკრატიული საწყისის ნამდვილი განხორციელების საკითხია“, რომ ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გამოწვევის უფლება არის „ნამდვილი კონტროლის უფლება“.

ეს ლენინური ორიგინალი დებულება საფუძვლად დაედო დეკრეტს „გაწვევის უფლების შესახებ“. საბჭოთა დემოკრატიზმს ამსახველი ეს მეტად ბრწყინვალედ აქტი შემდეგ შეტანილ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში. როგორც ვხედავთ, სოციალისტური დემოკრატიზმის ეს პრინციპი ახალი არ არის. იგი დადგენდა და განხორციელდა საბჭოთა წყობილების შექმნის პირველი დღეებიდანვე. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თავის განძღვერ ალბილის თეზისებში საბჭოების ხელისუფლებისათვის საკანონმდებლოდ გამოცხადა პროგრამა: „ყოველი მოხელის არჩევითობა და გადაყენება ყოველ დროს“.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, აწესებს, რომ „თვითეული დეპუტატი ვალდებულია თავისი მუშაობისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობის ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველებს. დეპუტატი ყოველთვის შეიძლება გამოწვეულ იქნას თანაბრად ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებისა კანონით დადგენილი წესით“.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად მასების მობილიზაციის საქმეში ჯდიდესი როლი ენიჭებათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მასობრივ ორგანიზაციებს. საბჭოების მუშაობაში უშიალო მონაწილეობას იღებენ ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელები. ამ პირობებში არსებითად იზრდება ყოველი დეპუტატის როლი და პასუხისმგებლობა.

საბჭოების როლის შესახებ ფართოდ იყო ნათქვამი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენებაში, რომელიც სესიის გეზინდელ სხდომაზე მოვისმინეთ.

საბჭოთა ადამიანები თავიანთი წრიდან საბჭოების დეპუტატებად ირჩევენ ღირსეულთა შორის ღირსეულებს — პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომელთა დამსახურება ცნობილია ხალხისათვის, მუშებსა და კოლმეურნეებს, რომლებმაც თავი ისახელეს შრომის საოკეთესო მაჩვენებლებით ქარხნებში, ფაბრიკებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მუშაკებს.

დეპუტატი უმარველეს ყოვლისა არის ორგანიზატორი. მისი ძალა მასებთან კავშირია. იგი იმ შემთხვევაში შეძლებს ნაყოფიერად შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანები, თუ მას მჭიდრო კავშირი ექნება ამომრჩეველებთან.

დეპუტატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი ხალხის მსახურია, რომ თავისი მაღალი რწმუნება მან მიიღო ამომრჩეველებისგან, რომელთა მიმართ იგი პასუხისმგებელია და მათ ახარებს ანგარიშს როგორც საკუთარივ თავის მიერ გაწეული საქმიანობის, ისე მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოს მუშაობის შესახებ, რომელშიც იგი არის არჩეული.

დეპუტატების საქმიანობაზე კონტროლის დაწესება და მათი ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში, სადაც მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. ამომრჩეველთა ფუნქციები ჩვენში არ მთავრდება არჩევნების შემდეგ. ამომრჩეველები მუდმივ კონტროლს უწევენ თავიანთ დეპუტატებს და ამდენად მათ ყოველთვის შეუძლიათ გაიწვიონ ისინი უკან, თუ მათ არ გაამართლეს ხალხის ნდობა.

დამახასიათებელია, რომ მსოფლიოში არ არის არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომლის კონსტიტუცია ოფიციალურწინებდეს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებებიდან დეპუტატის გაწვევის უფლებას; პირიქით, ამ ქვეყნებში კატეგორიულად უკუგდებულია თვით იდეაც გაწვევის უფლების შესახებ, ხოლო ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერება მთელი ძალღონით ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს, რომ დეპუტატები არ არიან პასუხისმგებლები ამომრჩეველებს — ხალხს წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში კი დეპუტატისადვის არ არის იმაზე მეტი ბედნიერება, რომ ემსახუროს ხალხს, ამარჯულდეს ხალხის მაღალ ნდობას და იბრძოდეს მისი კეთილდღეობისათვის.

ჩვენში ხალხის რჩეული — დეპუტატი ასრულებს არა თავის პირად საქმეს, არამედ ამომრჩეველთა განაწესებს, იგი იცავს არა თავის ინტერესებს, არამედ საბჭოთა ხალხის ინტერესებს. მას ამომრავებს ხალხის დიადი ძალა, ცხოვრობს ხალხში და სწავლობს ხალხისგან, იგი უშიშარ და აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოების მუშაობაში, თვითონ ასრულებს და ამოწმებს იმ კანონების სწორად განხორციელებას, რაც მის მიერ არის მიღებული, ბაზასწადაე, დეპუტატი არის სახელმწიფო მოღვაწე ეკ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „მხოლოდ არჩეულებს შეუძლიათ ილაპარაკონ სახელმწიფო საკანონმდ ებ ლ ო ენინო“.

აი როგორი უნდა იყოს და არის ჩვენში დეპუტატი, და თუ იგი ასეთი არ იქნება, საბჭოთა ხალხმა, ამომრჩეველმა კარგად იცოდ, რომ კონსტიტუციით მათ მინიჭებული აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ თავიანთი დეპუტატი, რომელიც ვერ ამართლებს მათს ნდობას და დეპუტატის მაღალ წოდებას.

„საბჭოთა დეპუტატებმა, — ამბობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, — არაასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ შეუხელებელ კონტროლს უწევენ თავიანთი ამომრჩეველები, რომ მათ სადეპუტატო საქმიანობას განსაზღვრავენ არა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წარმოთქმული სიტყვები, არამედ კონკრეტული საქმეები“.

ახლა, როცა ჩვენი სახელმწიფო შევიდა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში, როცა სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმის ამოცანების გადაზე ადრე და წარმატებით შესრულება მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებით აქტივობას და მათ ორგანიზებას, კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოების როლი და ამაღლდა დეპუტატის პასუხისმგებლობა. ეს კი ნიშნავს, რომ დაუღალავად იბრძოდე მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ძატრიოტულ-კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ გასული წლის ნოემბერში მიიღო კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ, რაც დიდი პოლიტიკური მიიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. დეპუტატის საქმიანობისადმი ამომრჩეველთა კონტროლის გაძლიერების მიზნით აუცილებელია ასეთივე წესი დადგინდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებაც. აღნიშნულის მიხედვით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიამ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155 მუხლის საფუძველზე, შეიმუშავა და თქვენს განსახილველად წარმოადგინა კანონის პროექტი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.

ამხანაგო დეპუტატებო! კანონის პროექტი თქვენ დარიგებული გაქვთ. ნება მიბოძეთ მოკლედ შევჩერდე ამ კანონპროექტის ძირითად დებულებებზე.

კანონის პროექტის პირველი მუხლი აწესებს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი, როდესმაც ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას, გამოწვეულ იქნას ყოველ დროს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ეს საფუძვლები ბუნებრივია, რამდენადაც დეპუტატი თავის რწმენებას იღებს ამომრჩეველებისაგან, ამდენად მხოლოდ ამომრჩეველები არიან უფლებამოსილნი ჩამოართვან მას დეპუტატობის რწმენება. ეს მუხლი ითვალისწინებს დეპუტატის გამოწვევის ორ მიტივს. პირველი, როცა დეპუტატი ვერ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, მეორე კი, როცა დეპუტატი მოიმოქმედებს ისეთ რამეს, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

კანონში ძნელია გათვალისწინებულ იქნას დეპუტატის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის და მისთვის შეუფერებელი საქციელის ყველა კონკრეტული შემთხვევა, ამიტომ მასში მოცემულია მხოლოდ საერთო დებულება. დეპუტატის გამოწვევის საკითხის დაყენების დროს აუცილებელია არსებობდეს საბანაკო საფუძველი. საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატების გამოწვევის საკითხთან დაკავშირებული სხვა უფლებრივი და ორგანიზაციული მხარეები, მაგალითად, პროექტი აუსებს, რომ საოლქოდონური ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებების გადაწყვეტილება დეპუტატის გამოწვევის საკითხის აღძვრის შესახებ ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ნიშნავს კენჭისყრას, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ამ კანონის სრული შესაბამისობით. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ნიშნავს კენჭისყრას, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ამ კანონის სრული შესაბამისობით, ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ორ ნიშნავს კენჭისყრას, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ამ კანონის სრული შესაბამისობით. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტი, ორ ნიშნავს კენჭისყრას, ეს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ამ კანონის სრული შესაბამისობით. ეს კ. ნ. ... ...